პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სკრ

№ 239 (4749)

1972 წ. 3 დეკემბერი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურ კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნების ფიალში

ფეხბურთი

5 შეცდომა — 5 გოლი

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 2 დეკემბერი.

სსრ კავშირი (ჭაბუკთა ნაკრები) — თურქეთი (ჭაბუკთა ნაკრები) 3:2 (3:0).

უფა-ს თასის შესარჩევ ჯგუფში, როგორც ცნობილია, თავმყრილი არიან სსრ კავშირის, თურქეთისა და უნგრეთის ჭაბუკთა გუნდები და მათი ტურნირი წრიული სისტემით ტარდება. ამდენად, აქ, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელობა აქვს ქულებს და არა ბურთების შეფარდებას. მაგრამ შეიძლება მოსდეს ისეც, რომ საბოლოოდ დავა ბურთების ბალანსმა გადაწყვიტოს.

თუ საქმე დებულების ამ პუნქტზე მიდგა, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრებმა ბევრი დაკარგა, როცა ამ მატჩში ბურთების საუკეთესო შეფარდება გააფუჭა და მხოლოდ მინიმალური სხვაობით მოგება ჩაწერა.

მაგრამ არც ის იქნებოდა სწორი გვეთქვა, რომ პირველი ტაიმის ანგარიში მთლიანად შეესაბამებოდა თამაშის მსვლელობას. მართალია, მასპინძლები ფლობდნენ ინიციატივას, მეტი კონტროლი ჰქონდათ ბურთზე, მაგრამ თურქები ღირსეულ მეტოქეობას უწევდნენ მათ. სტუმრების საქმე გააფუჭა მეკარემ, რომელმაც თითქმის ზედიზედ დაუშვა შეცდომები და გაუშვა იოლი ბურთები.

ანგარიში მე-15 წუთზე გახსნა კლიმოვიჩმა, რომელმაც მარჯვენა ფლანგიდან მოწოდებული ბურთი თავით მიწას მოახვედრა მეკარის წინ. აფშინი დაიბნა და გაუშვა გოლი. 7 წუთის შემდეგ კომბინაცია ფიოდოროვი—სომაკოვი თითქმის ანალოგიურ სიტუაციაში დამთავრდა მეორე გოლით, ხოლო 33-ე წუთზე ფიოდოროვმა შორიდან ძლიერად დაარტყა და ბურთმა მეკარეს ზედ თავს ზემოთ გადაუარა— 3:0.

ასეთი ანგარიშის შემდეგ შეიძლებოდა აუჩქარებელ, ზუსტ, კომბინაციურ თამაშზე გადასვლა, მაგრამ საბჭოთა ფეხბურთელებმა ამის ნაცვლად, უბრალოდ, უკლებ ტემპს და საკმაოდ უყურადღებოდაც ითამაშეს შუა მინდორში. ამას გარდა, „ჯერი მიდგა" მეკარე ანტიამოვზე, რომელმაც თავის მხრივ დაუშვა სერიოზული შეცდომები, რასაც საპასუხო გოლები მოჰყვა საბჭოთა გუნდის კარში. ჯერ ეგრეჯემ გადაუგდო მეკარეს ბურთი თავს ზემოთ, ხოლო შემდეგ, 65-ე წუთზე, კარიერამანმა შორიდან მეორედ აიღო ანტიამოვის კარი.

ასე, დიდი უპირატესობის ნაცვლად, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრებმა მხოლოდ დაძაბულ ბრძოლაში შეძლო გამარჯვების შენარჩუნება.

სსრ კავშირის ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ანტიამოვი, ეგოროვი, ბუბნოვი, ნოვიკოვი, შავეიკო, ბეტროსიანი, ესებუა, გაზაევი (პეტრენკო), ხომიაკოვი (გიგოლაშვილი), კლიმოვიჩი, ფიოდოროვი.

მატჩს სჯიდა ხ. კუიოესი (საბერძნეთი).

რ. ჟორიძე.

• • •

შესვენების დროს თბილისის აბალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდს (უფროსი მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი) გადაეცა მოზარდთა შორის ამას წინათ მოპოვებული საკავშირო თასი, ხოლო თვით ფეხბურთელებს — ოქროს medალები.

ზეგეგმით

ქალაქ გორის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად აღებული ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმავალდებულება. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მომზადება დაგეგმილი არ იყო, მაგრამ ერთი მაინც მომზადდა. 4-ის ნაცვლად მომზადდა რვა სპორტის ოსტატი. სპორტის ოსტატობის კანდიდატების მომზადება დაგეგმილი არ ყოფილა, მაგრამ ეს ნორმატივი თვრამეტმა ფიზკულტურელმა შეასრულა.

მომზადდა, აგრეთვე, სხვა თანრიგების 12925 სპორტსმენი (გეგმით — 10827), 1082 ხაზოგადოებრივი ინსტრუქტორი და მწვრთნელი, 1128 მსაჯი.

ბ. მეუანგიშვილი,
გორის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

ХАЧА ЗАКЛЮЧИЛ РАЗГРОМНЫЙ СЧЕТ ПУТИ... 19:45

კორბუტი და სპიტცი

◆ ლონდონი, 2 დეკემბერი. ჟურნალ „უორლდ სპორტსის" ტრადიციულ ანკეტაში 48 ქვეყნის ჟურნალისტებმა მიიღეს მონაწილეობა. თითქმის ერთსულოვანი აზრით, „1972 წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალად" დასახელებული გროდნოელი ტანმოვარჯიშე ო. კორბუტი.

ვაუთა შორის ეს წოდება ამერიკელ მოცურავე მ. სპიტცს ხვდა.

სტარტზეა აღმასკომის თავმჯდომარე

დღეისთვის სსრ კავშირის პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა 83 პროცენტზე მეტი ატარებს მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანს. ამ სისტემის სასწავლებლები არც შემდგომ აპირებენ ფარ-ხმლის დაყრას.

ამ დიდ საქმეში თბილისის პროფტექნიკურ სასწავლებლებსაც მიუძღვით დამსახურება. თბილელებმა მშდ კომპლექსის ახალი ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადებაც დროულად დაიწყეს — „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს სპორტულ ბაზებზე გამოაკრეს გემოვნებით გაფორმებული ლოზუნგები, ტრანსპარანტები, კომპლექსის ყველა საფეხურის ნორმატივები, ფოტოსტენდი. იმ დღიდან ბაზებზე ყოველ კვირას ხალხმრავლობაა. მომავალი კვალიფიციური მუშები დიდი მონდომებით აბარებენ ნორმატივებს. მოსწავლეებს აქაც შეგალითს აძლევენ მასწავლებლები, რომლებიც სარბიელზე ახალგაზრდებთან ერთად გამოდიან. გასულ კვირას სარბიელზე თბილისის 23-ე, 26-ე, 31-ე, 38-ე და 43-ე პროფტექნიკური სასწავლებლების 640-მდე მოსწავლე გამოვიდა. ბრძოლაში ჩაება 31-ე სასწავლებლის 43 მასწავლებელი დირექტორ გ. ბოგვერაძის თაოსნობით.

გასულ შაბათ-კვირას თბილისის „საქალაქრობმონტაჟის" კომბინატის პროფკავშირის კომიტეტმა მოაწყო ორდღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: თბილისი — კუს ტბა — უძოს მთა — კოჯორი — ოქროყანა — ლეღვთახევი — კომკავშირის ხეივანი — თბილისი. მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად ლაშქრობაში მონაწილეობდა 54 თანამშრომელი.

შაბათს კუს ტბაზე მოეწყო 1000 მეტრზე კროსი და 100 მეტრზე რბენა.

• •

სტარტზეა აღმასკომის თავმჯდომარე

სოციალისტური შრომის გმირი გ. ბოგვერაძე. ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიაღმასკომის თავმჯდომარედ გადასვლის გამო იმ დღეს ეთხოვებოდა მშობლიურ სასწავლებელს, რომელიც თვითონვე აქვს დამთავრებული. მან ძალა სცადა 100 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომასა და ხელყუმბარის ტყორცნაში. პირველ ორ სახეობაში ჩათვლა მიიღო. ბოგვერაძის გარდა კიდევ 13 მასწავლებელმა ჩაბარა ნორმატივები.

მოსწავლეებმა მძლეოსნურ სახეობებში 194 ოქროსა და 157 ვერცხლის სამკერდე ნიშნის შესაბამისი შედეგები აჩვენეს. 38-ე და 43-ე სასწავლებლების მოსწავლეებმა ცურვაშიც სცადეს ძალა. აქ მხოლოდ ორმა მიაღწია ოქროს სამკერდე ნიშნს, შეიდმა კი ვერცხლის ნიშნის ნორმატივს.

ა. ბურასაშვილი.

• • •

სურათებზე: 100 მეტრზე რბენის მომენტი; სტარტზე არიან მოცურავეები; წამიც. და 31-ე სასწავლებლის მასწავლებელის დ. ბარათელის ხელყუმბარა ყველაზე შორს — 46,5 მეტრზე გაფრინდება.

ავტორის ფოტოები.







ცნობები სოციალისტური ქვეყნებიდან

ბერლინი. გერმანული სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირი (გდრ) თავის რიგებში ორ მილიონ 800 ათას კაცს აერთიანებს, თანაც ბოლო თვეებში კავშირის წევრთა რიცხვი 75 ათასით გაზარდა. ამავე დროის განმავლობაში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მომზადდა 8300 ფიზკულტურის მასწავლებელი და მწვრთნელი, თითქმის 4000 მსაჯი.

ეს ციფრები მოიყვანეს გერმანული სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირის გამგეობის პლენუმზე.

სოფია. დიმიტროვის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მიიღო პარაშუტისტები, მსროლელები, მოტოციკლისტები, სხვადასხვა სპორტული მოდელის შემქმნელნი.

განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს ბულგარელმა გემმოდელისტებმა, რომლებმაც მეოთხედ მოიპოვეს ევროპის პირველობა, თანაც ერთი წლის მანძილზე არ დამარცხებულან საერთაშორისო სარბიელზე. უნიციოდ არც ბულგარელი პარაშუტისტები გამოსულან მსოფლიო ჩემპიონატში (აშშ), სადაც

პროგრამის ერთ-ერთი სახეობა მოიგეს.

სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობების ბევრ ოსტატს გადაეცა ორდენები და მედლები, რომლებითაც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მათი მიღწევები აღნიშნა.

ვარშავა. შეჯამდა სპორტული მშენებლობის მორიგი კონკურსის შედეგები. ეს კონკურსი პოლონეთში ასეთი დევიზით მიმდინარეობს: „სპორტული მოედანი — ყოველ სოფელს". სასოფლო რაიონებში გაჩნდა 25 ახალი სტადიონი, თითქმის 8 ათასი სპორტული მოედანი, 845 მძლეოსნური ბილიკი, 27 საცურაო აუზი, 15 სათხილამურო ტრამპლინი.

თუმცა ყველა ობიექტი 178,8 მილიონზე ზლოტი დაჯდა, ასიგნებანი 48 მილიონს არ ასცილებია: მშენებლობა უმეტეს შემთხვევაში საზოგადოებრივ საწყისებზე წარმოებდა.

საჯარო ინფორმაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს საერთო საქმეა!

რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, ემზადებიან რა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისთვის, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების წლევანდელი სახელმწიფო გეგმების შესრულებაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

დღეისთვის რესპუბლიკაში მომზადებულია 16 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 220 სპორტის ოსტატი, 80 ათასამდე თანრიგოსანი და 90 ათასზე მეტი მშდ კომპლექსის ნიშნოსანი.

კარგი მუშაობით გამოირჩევიან „დინამოს“, „განთიადისა“ და „კოლმეურნის“ საბჭოები, აჭარის, თბილისის, ქუთაისის, გორის, ფოთისა და რუსთავის, აგრეთვე, მცხეთის, ლანჩხუთის, ონის, თელავის, ყვარლისა და ზუგდიდის რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციები.

მაგრამ, ჩატარებული მუშაობის მიუხედავად, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების სახელმწიფო გეგმებისა და აღებული ვალდებულებების შესრულებაში რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ჯერ სერიოზული ნაკლოვანებებიც გააჩნიათ. მაგალითად, არც ერთი სპორტის ოსტატი არ მომზადებულა ისეთ სახეობებში, როგორიცაა კალათბურთი, კრივი, თანამედროვე ხუთჭიდი, წყალბურთი, ფრენბურთი, ნიჩბოსნობა, წყალში ხტომა, ხელბურთი, ტყვიის სროლა, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში და ფეხბურთი. სპორტის ოსტატთა მომზადების გეგმები „სახეობათა მიხედვით შესრულებული არა აქვთ „ბურევესტნიკს“, „განთიადს“, არმიის სპორტულ კლუბს, „სპარტაკს“, „შრომით რეზერვებს“, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ჭიათურის, ტყიბულის, ზუგდიდის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბორჯომის, გარდაბნის, გურჯაანის, დუშეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მახარაძის, საგარეჯოსა და ცხაკაიას რაიონების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები არ მოუმზადებიათ დაგეგმილ სახეობებში, მაგალითად, კალათბურთში, კლასიკურ ჭიდაობაში, წყალბურთში, ტანვარჯიშში და ტყვიის სროლაში.

განვლილ პერიოდში მთლიანად ვერ შესრულდა მასობრივი თანრიგების სპორტსმენთა საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების გეგმა-ვალდებულებანი (შესრულებულია შესაბამისად 78,5 და 66,8 პროცენტით).

შემოწმებით დადგინდა ისიც, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციები სრული პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ მშდ ახალი კომპლექსის დანერგვის საქმეს, რამაც წარუმატებლობა და შეცდომები გამოიწვია. მაგალითად, ახალციხის, ბორჯომის, დმანისის, ზესტაფონის, ლენტეხის, მარნეულის, ორჯონიკიძის, საჩხერის, თეთრი წყაროს, თიანეთისა და ჩოხატაურის რაიონების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს 1972 წლის ცხრა თვის განმავლობაში ახალი კომპლექსის არც ერთი ნიშნოსანი არ მოუმზადებიათ. უარესი მდგომარეობაა გეგეჭკორისა და წულუკიძის რაიონებში, სადაც სიყალბეს მიმართეს. მარტო გეგეჭკორის რაიონში 4098 ყალბი „ნიშნოსანი“ იქნა მიკვლეული.

სპორტული ბაზების საქმიანობის შესამოწმებლად ჩატარებულმა რეიდებმა ცხადყო, რომ თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, სამტრედიის, გურჯაანის, აგრეთვე, სხვა ქალაქებისა და რაიონების სპორტული ბაზები, კულტურისა და დასვენების პარკები დღემდე ვერ იქცა მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების, მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების მომზადება-ჩაბარების ცენტრებად. ზოგი ბაზა კეთილმოუწყობელი და გამოუსადეგარია. სათანადო სიმაღლეზე არ დგას სპორტის პროპაგანდა.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების წლევანდელი სახელმწიფო გეგმების ხარისხიანად და დროულად, საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის ზეიმისთვის შესრულების მიზნით რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებს, სპორტული საზოგადოებების საბჭოებსა და საუწყებო ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დაავალა შეიმუშაონ და წლის ბოლომდე განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები.

დასახული ამოცანების განხორციელებისთვის საქართველოს სპორტკომიტეტს საჭიროდ მიაჩნია სისტემატურად ტარდებოდეს სექციური მუშაობა, ეწყობოდეს მასობრივი ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი და სასწავლო-სპორტული ღონისძიებები, ფიზკულტურის ყველა კოლექტივში, სპორტულ ბაზებთან, კულტურის სახლებთან, პარკებთან და საცხოვრებელ ადგილებში მუშაობდეს ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი ჯგუფები და სექციები ყველა ასაკის ხალხისთვის, შეიქმნას საჭირო მატერიალური ბაზა, აშენდეს ახალი და კეთილმოეწყოს არსებული სპორტული ნაგებობები, აღიჭურვოს ისინი საჭირო ინვენტარით;

უნდა მოვამზადოთ ფიზკულტურელთა კადრები, საზოგადოებრივი ინსტრუქტორები, მსაჯები, კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეები, უნდა ტარდებოდეს სისტემატური მუშაობა მწვრთნელების, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების, ხელმძღვანელი სხვა მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

გაუმჯობესდეს სპორტულ ღონისძიებათა ჩატარების სისტემა ყველა რგოლში, დამატებით მოეწყოს საკლასიფიკაციო შეჯიბრებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სპორტის ოსტატებისა და თანრიგოსნების მომზადების წლიური გეგმა-ვალდებულებების შესრულებას. ამასთან, საჭიროა გაითვალისწინონ მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის საჭირო ღონისძიებები,

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და დოსააფის კომიტეტების ერთობლივი მუშაობა ახალი კომპლექსის დანერგვისთვის, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისთვის, სპორტის გამოყენებითი სახეობების განვითარებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმას სპორტულ საქმიანობაში, მათს მომზადებას თანრიგებისა და მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად;

უახლოეს ხანში უნდა მივაღწიოთ, რომ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში მასობრივად ჩავაბათ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა, უზრუნველყოთ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, ზოვადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებში მაღალი თანრიგების სპორტსმენთა მომზადება დაბალი თანრიგების სპორტსმენთა მასობრივად მომზადების ხარჯზე.

ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა სამინისტროებისა და უწყებების წინაშე დასვა საკითხი, რომ მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისთვის სათანადო პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ.

საქართველოს კომპარტიის რაიონულ, საქალაქო, საოლქო კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ეთხოვათ დახმარება აღმოუჩინონ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს სახელმწიფო გეგმების შესრულებისთვის სათანადო პირობების შექმნით.

• • •

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ფინანსური დისციპლინის უხეში დარღვევისთვის ტყიბულის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ოქრუაძე გაათავისუფლა თანამდებობიდან.

რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ჩაშლისა და მშდ ახალი კომპლექსის ნიშნოსანთა ყალბად გაფორმებისთვის გეგეჭკორის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სურმავა გათავისუფლებულია სამუშაოდან.

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ჩაშლისთვის სამუშაოდან განთავისუფლებული არიან, აგრეთვე, ახალციხის, დმანისისა და თიანეთის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეები ჟ. გოგოლაძე, ი. მუსტაფაევი და გ. ბიჭელაშვილი.

ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა გეგმების შესრულებაში ჩამორჩენისთვის გააფრთხილა ბორჯომის (შ. ჯეირანაშვილი), ზესტაფონის (კ. ბაზაძე), ლენტეხის (მ. მუკბანიანი), მარნეულის (კ. ნადირაძე), ორჯონიკიძის (ა. მაჭავარიანი), საჩხერის (დ. გოშაძე), თეთრი წყაროს (თ. ხუციშვილი) და ჩოხატაურის (დ. ჩხიკვაძე) ფიზკულტურის კომიტეტების თავმჯდომარეები.

ნ. სომხიშვილი,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობის, მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის, კადრებისა და სპორტის პროპაგანდის განყოფილების უფროსი.



საკავშირო ჩემპიონატებზე...

... ბაქოში

გუშინწინ განვლილ ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო.

ე. ვასიუკოვმა სძლია დ. ბრონშტეინს (ორივე — მოსკოვი) და ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. ნ. რაშკოვსკიმ (კურგანი) მოუგო ვ. ჟიდკოვს (კიევი), რ. ხოლმოვმა (მოსკოვი) — ვ. ტუკმაკოვს (ოდესა), ა. კაპენგუტმა (მინსკი) — ლ. შამკოვიჩს (მოსკოვი), გ. კუზმინმა (ვოროშილოვგრადი) — ს. ფურმანს (ლენინგრადი).

ორი პარტია დაამთავრა კ. გრიგორიანმა (ერევანი): მან მოუგო ვ. სავონს (ხარკოვი) და „ყაიმზე შეუთანხმდა ი. რაზუვაევს (მოსკოვი). ყაიმით დასრულდა ვ. ზილბერშტეინ (ორსკი) — ე. გუფელდისა (თბილისი) და რაზუვაევ — ვ. ბაგიროვის (ბაქო) შეხვედრები.

10 ტურის შემდეგ ე. ვასიუკოვს 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, მ. ტალს (რიგა) — 6,5, გ. კუზმინსა და ს. ფურმანს — 6-6.

თბილისელ მოჭადრაკეებს ასეთი შედეგები აქვთ: ე. გუფელდს — 5 ქულა, რ. ჯინჯიხაშვილს — 4.

... ტოლიატიში

მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატში გუშინწინ დასკვნითი, XIX ტური გათამაშდა. მ. შუმმა (ლვოვი) სძლია ლ. შჩერბინას (სევასტოპოლი) და 12 ქულა მოაგროვა. მას მხოლოდ ნ. კონოპლიოვა (მოსკოვი) თუ დაეწეოდა, მაგრამ ვერ დაძლია ო. ანდრეევას (ხარკოვი) წინააღმდეგობა და ყაიმს

დასჯერდა. მოსკოველს 11,5 ქულა გაუხდა.

ამრიგად, სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა საერთაშორისო ოსტატმა მ. შუმმა, მაგრამ საზონათშორისო ტურნირის კიდევ ორი მონაწილის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. საქმე ის არის, რომ კონოპლიოვას დაეწია ი. ლევიტინა (ლენინგრადი), რომელმაც ოც სვლაში ლ. შადურას (კურსკი) მოუგო. მათ გვერდში შეიძლება ამოუდგეს ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), რომელმაც ა. კისლოვასთან (ომსკი) პარტია დიდი პოზიციური უპირატესობით გადადო.

მ. რანიკუმ (ტალინი) მოუგო ა. ეპშტეინს (გორკი), ვ. ბორისენკომ (ტაშკენტი) — ე. ბაჟინას (ლენინგრადი), ე. რუბცოვამ (მოსკოვი) — მ. სამულს (ტალინი). ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: ლ. სემიონოვა (კიევი) — ლ. საუნინა (სვერდლოვსკი) და ა. მკრტჩიან (ტაშკენტი) — ლ. იდელჩიკი (ხარკოვი).

25 ნოემბერს დაიწყო „ა“ კლასის I ჯგუფის კალათბურთელ ვაუთა საკავშირო პირველობა. როგორც ცნობილია, ამ შეჯიბრებაში თბილისის „ბურევესტნიკიც“ მონაწილეობს. გუშინწინ მან თავისი პირველი კალენდარული მატჩი გამართა — ლენინგრადის არმიელებს უმასპინძლა. სტარტი თბილისელთათვის უიღბლო გამოდგა: ბურევესტნიკელებმა დამატებით დროში მარცხის სიმწარე იწვნიეს — 72:76 (ძირითადი დრო — 68:68).

სურათზე: თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ლენინგრადის ასკ-ს შეხვედრის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ვინ მოიპოვებს თასს?

იუგოსლავიის აგარაკ ვრნიაჩკა-ბანიაში გუშინწინ გაიხსნა ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის IV ტრადიციული გათამაშება. წილისყრის შემდეგ მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განაწილდნენ:

1. ერენსკა (პოლონეთი), 2. კონარკოვსკა-სოკოლოვა (იუგოსლავია), 3. ვერეცი (უნგრეთი), 4. ჰოლიერონიადე (რუმინეთი), 5. მერლინი (საფრანგეთი), 6. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია), 7. ვეტშტაინი (შვეიცარია), 8. გაფრინდაშვილი, 9. ალექსანდრია (ორივე — სსრ კავშირი), 10. ივანკა (უნგრეთი), 11. ტიმერი (ჰოლანდია), 12. პიხალიჩი (იუგოსლავია).

კერესი ლიდერობას განაგრძობს

სან-ანტონიო, 2 დეკემბერი. აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის X ტურში კერესმა (სსრ კავშირი) ყაიმით დაამთავრა შეხვედრა გლიგორიჩთან (იუგოსლავია) და ლიდერობას განაგრძობს. მას 8 ქულა აქვს.

ლიდერს კვალში მიჰყვებიან კარპოვი (სსრ კავშირი) და სათლზი (კანადა) — 6-6 ქულა, ოღონდ საბჭოთა დიდოსტატს ორი გადადებული პარტია აქვს. X ტურში კარპოვმა გადადო პარტია სმითთან (აშშ), ხოლო სათლზმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბრაუნთან (ავსტრალია).

ლარსენმა (დანია) სძლია კამპოლოჰესს (მექსიკა), ევანსი (აშშ) და ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) ყაიმზე შეთანხმდნენ.

გადაიდო პეტროსიან (სსრ კავშირი) — მეკინგის (ბრაზილია), კაპლან (პუერტო-რიკო) — პორტიშის (უნგრეთი) და სეიდი — ბრონის (ორივე — აშშ) პარტიები.

ლიდერთა ჯგუფში არიან ავრთვე: ლარსენი — 5,5 (3), გლიგორიჩი — 5,5 (2), პეტროსიანი, ჰორტი — 5,5-5,5 (1-1).

მეოთხედ გაიმარჯვა

ემენი, 2 დეკემბერი. ჰოლანდიის ამ ქალაქში დამთავრდა ქალთა საერთაშორისო ტურნირი. I ადგილი დაიკავა მ. ლაზარევიჩმა (იუგოსლავია) — 6,5 ქულა 7-დან. იუგოსლავიელმა მოჭადრაკემ მეოთხედ გაიმარჯვა ამ ტრადიციულ ტურნირში.

II ადგილი ხვდა ტ. ხატულოვსკაიას (სსრ კავშირი) — 6.

დაწინაურდა კორჩნოი

პალმა-დე-მალიორკა, 2 დეკემბერი. ესპანეთის ამ ადგილზე მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში 4 ტურის შემდეგ დაწინაურდა კორჩნოი (სსრ კავშირი) — 3 ქულა. IV ტურში მან ბილეკი (უნგრეთი) დაამარცხა.

მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩენიან ლიდერს ავერბახი, ჰოლუგავესკი (ორივე — სსრ კავშირი), სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია) და პანო (არგენტინა), თანაც ჰოლუგაევსკის 1 გადადებული პარტია აქვს.

IV ტურში ავერბახი დაუზავდა ლიუბოევიჩს (იუგოსლავია), პანო — ივკოვს (იუგოსლავია), მედინა (ესპანეთი) — რობაჩს (ავსტრია), სმეიკალმა კი კალვოს (ესპანეთი) მოუგო.

სხვა პარტიები გადაიდო.

სამი ტურიღა დარჩა

თბილისში გრძელდება რესპუბლიკური საჭადრაკო კლუბის II ჩემპიონატი, რომელშიც 14 მოჭადრაკე მონაწილეობს.

10 ტურის შემდეგ ლიდერობს ოსტატობის კანდიდატი ზ. მიქაძე — 7,5 ქულა. მას კვალში მიჰყვებიან ოსტატობის კანდიდატი გ. ბიბილაშვილი — 7 (1) და ოსტატი ე. უბილავა — 6,5 (1).

წარუმატებლად თამაშობს კლუბის შარმანდელი ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი ე. მიქაელიანი — 4,5 ქულა.

ტურნირში დაწესებულია ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი (8 ქულა). ამ ნორმატივის შესასრულებლად თამამად იბრძვის მოსწავლე ზ. აზმაიფარაშვილი — 4 ქულა და 2 გადადებული პარტია.

ჩემპიონატის დამთავრებას სამი ტურიღა აკლია.

გ. ფამილიანტი,

ჩემპიონატის მთავარი მსაჯი.

„ლენინური ჭაბურიანი“ ჭაბურიანის-ჭიათურელებს

გაკიცხეს

ჩვენი გაზეთის 28 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა მამხილებელი წერილი სათაურით „ვის ატუუებენ?!“. ამ წერილში სხვებთან ერთად გაკრიტიკებული იყვნენ თბილისის № 18 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები, რომელთაც თბილისის კროსის დროს შეუფერებელი ხაქციელი ჩაიდინეს. სასწავლებლის დირექტორის მოადგილე კ. გასვიანი გვატყობინებს, რომ 28-ე ჯგუფის მოსწავლე ვ. ძამაშვილის საქციელი პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განიხილეს. პედსაბჭომ სასწავლებლის ფიზალზრდის ინსტრუქტორს ო. გერაძეს და მოსწავლე ვ. ძამაშვილს საყვედური გამოუცხადა. ძამაშვილის საკითხი მოისმინა, აგრეთვე, ჯგუფის კომკავშირელთა კრებამ, რომელმაც იგი გაკიცხა სპორტსმენისთვის შეუფერებელი საქციელისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲗᲕᲘᲠᲘᲡᲬᲚᲘᲡ

ᲣᲬᲧᲚᲝᲑᲐᲛ ᲣᲨᲕᲔᲚᲐ

ყველას თავისი გაჭირვება აქვს, მაგრამ ჩემზე უბედური კაცი ალბათ მეორე არ იქნება ქვეყანაზე. სიგრძე მე არ მომცა ღმერთმა და სიგანე. ჩემს ცხოვრებაში, საცაა ორმოცს მივუკაკუნებ, 51 კილოგრამს არ ავცილებივარ. ყველაფერს მოვითმენდი, მაგრამ წონის დაკლება-მომატებას ვერაფერი მოვუხერხე. თუ ჭიდაობასთან რაღაც კავშირი გქონიათ, გეცოდინებათ, რომ უმჩატესი წონის მოჭიდავეები სანთლით საძებნელი არიან. ჰოდა, მეც ამან დამტანჯა. არ იქნა და არა, ყოველი ჭიდაობის შემდეგ გავიძახი, სპორტს თავს ვანებებ-მეთქი, მაგრამ ვინ გიშვებს!

ინსტიტუტში იყო და ხმას ვერ ამოვიღებდი. წამომცდებოდა რამე და იმწუთშივე მომახლიდნენ. რა თავს იგდებ, ორმოცდარვაკილოგრამიანი რომ იყავი, იმიტომ მიგიღეთ ინსტიტუტშიო.

სამსახურში მოვეწყვე. აქაც იგივე. ვიტყვი: ბატონო, არა, აღარ შეგიძლია, ვერ ვიჭიდავებ-მეთქი. მაშინვე დირექტორს მიუტანენ ამბავს. დირექტორი დამიბარებს.

— ბიჭო, თავი ხომ არ მოგძულებია, დაგავიწყდა, შენი ორმოცდარვაკილოგრამიანი ძვალ-ხორცისთვის ჯერ-მეტი შტატი რომ დავაშვებინე ტრესტის მმართველს? შენც ახლა ორასი პროცენტით არ მისრულებდე გეგმებს, წელიწადში სამი თვეც არ გიწევს ქარხანაში მუშაობა. წადი, პირველი ადგილი მომიტანე, თორემ მე ვიცი...

მართლაც ასე იყო. წელიწადში ერთი ოცდაათჯერ მაინც მიწევდა სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ წელიწადში ოცდაათჯერ უნდა დავიკლო და მოვიმატო სამ-სამი კილოგრამი.

ახლა კი მაინც შავ დღეში ჩავვარდი. ბინების განაწილების წინ დირექტორმა დამიძახა. მიეგედი. ჯერ ბორჯომი გადაყლაპა, მერე მაგიდაზე ჩანოდებულ ფაშვს ხელის გული ამოუდო ქვეშ და ამომხედა.

— ბიჭო, ბინას გაძლევ, იცი?

— დიდი მადლობა, ბატონო.

— მადლობა არ ვიცი მე, კარგად დაიმახსოვრე, ორმოცდარვა კილოგრამს თუთუნს ტენიდა პაპაჩემი ჩიბუხში. მეორე ადგილი არ გავიგონო, ორმოცი წლის კაცი ძუძუთა ბავშვებში პირველ ადგილს თუ არ აიღებ, ახლოს არ გამეკარო. სანამ ჩემთან მოხვალ მტკვარია, იცოდე.

— ბინა მომეცი, ბატონო, და მერე მე ვიცი!

— გეყოფა! — მუცლის ქვეშიდან მარჯვენა გამოაძვრინა დირექტორმა.

მივიღე სამოთახიანი ულოჯიო ბინა მეთოთხმეტე სართულზე. სხვებივით არ მოვქცულვარ, კედლების მეტი რომ არაფერი დატოვეს ახალ ბინაში. მადლობელი ვიყავი, არაფერზე ვწუწუნებდი, მაგრამ გაჭირვება არც აქ მომეშვა. ონკანს რომ გავაღებდი, ერთს დაიხრიალებდა და მორჩა, წვეთი წყალი არ გადმოვარდებოდა. იჩიქლეს სხვებმა, მე კი ის გავიგე, რომ, თუ ზედმეტი საქაჩი არ დაიდგმებოდა, არაფერი გამოვიდოდა. ზედმეტ საქაჩს ზედმეტი ფული დასჭირდა. მანამდე კი მომესაჯა ყოველდღე წყლის ზიდვა. ჩემდა საუბედუროდ, ლიფტი არ მუშაობდა და სანამ მეთოთხმეტე სართულზე წყალს ავიტანდი, ერთი ფუთი ძვირფასი სითხე მე მინდებოდა წყურვილის მოსაკლავად. ამასობაში შეჯიბრებაც მომადგა კარზე.

პირველ ყოვლისა ავიწონე. 55 კილოგრამი! დავიოუპე. მაშინ რატომ ვერ მივხვდი, რა მელოდა, მეთოთხმეტე სართულზე ასვლამდე ამდენ წყალს რომ ვხაპავდი? ახლა რა ვქნა, შვიდი კილოს დაკლება არ გინდა!

კრიჭამეკრული დავბრუნდი შინ. სხვა რა გზა იყო. წყლის ზიდვაზე უარი უნდა მეთქვა. მეუღლემ მომაწყვლა, უწყლოდ ვნახე დამხრჩვალიო, დაავლო ხელი ბავშვებს და სიდედრთან მოუსვა. ეს კი შემისრულა, ჩემი თხოვნით გარდან გადარაზა კარი. რა მექნა, წამოვწექი და ფიქრს მივეცი. არც ეს შემეძლო, ფიქრისგან თავი ისე გამისივდა, შემეშინდა წონაში არ მოიმატოს-მეთქი. მერე წამოვდექი, სამზარეულოს კარი მაგრად დავკეტე. აბა, წყალმა დამლუპა და წყალს პირს როგორ მივაკარებდი. როგორც იქნა, საღამომდე გავძელი. საღამოს ჯერ მუცელმა დამიწყო ხურვება. მერე ეს ხურვება დატრიალდა, სარბიელზე გამოიყვანა გული, ტვინი და ყველამ ერთად შემომიტია წინ გაჭრილი ნახვევრმცველებივით. ბოლოს ყელში მეცა რაღაც და იმ რაღაცამ გულ-ღვიძლს ქაჩვა დაუწყო. საწოლზე ვერ გავჩერდი, აივანზე გავვარდი. მტკვარი!

სულ მოვიშალე, ვიფიქრე, გავვარდები ახლა გარეთ, ჩავყოფ მტკვარში თავს და სულ ამოვქაჩავ წყალს-ნეთქი. მაგრამ უმალვე დირექტორის სიტყვა მომაგონდა, ჩემთან მოსვლამდე მტკვარიაო, რომ მითხრა. ჯანდაბას დირექტორი, ბინიდან ველარ გამოძახებენ! ეს ბინა ასოციანეთიან სამსახურს სხვანასაც ვიშოვი, მაგრამ კარს რა ვუყო? გავტეხო? აკ, არა, ხვალ დილით თავი გამიტყდება, ჯულიეტას ხელიდან ვინ დამიხსნის, იზოლირებულ ბინაში ისე იზოლირებულად მომახრჩობს, კაცი არ იქნება პატრონი.

სხვა გზა არ იყო, დავიწყე ოთახებში ბორიალი, მერე სირბილზეც გადავედი. ბოლოს კი აღარ მახსოვს, სადაც ჩამკეცოდა მუხლები, იქ ჩამძინებოდა. დილით ჯულიეტას მუჯლუგუნმა განაღვიძა. საათის პატარა ისარი ცხრაზე იდგა, დიდს თორმეტს იქით ზღვარი გადაელახა. შეჯიბრება 10 საათზე იწყებოდა.

— რას ჰგავხარ, შე საცოდავო! — მომაბღავლა ჯულიეტამ.

დრო აღარ იყო. დავავლე ჩანთას ხელი და სპორტული დარბაზისკენ გავიქეცი. მივქროდი. მწვრთნელი კართან დამიხვდა, ერთი [illegible] მითავაზა და დამიბღვირა, ახლა ჯარ ქეცი, აიწონე და მერე მე ვიციო.

— ორმოცდაშვიდი და შვიდასი,— ესა და დიქტორის ხრინწიანი ხმა ერთად მომესმა.

დარბაზში შევვარდი, ჩემი მოწინააღმდეგე ლეიბის კუთხეში იდგა და მელოდებოდა. არ ვიცი, ვინ ჩამბერა ამდენი ძალა, ვეძგერე და მეტი არაფერი მახსოვს. მსაჯებმა ძლივს ამაგლიჯეს ლეიბს ბეჭებით გართხმული ყავრისხელა კაცუნას, ფეხზე დამაყენეს და მარჯვენა ხელი ამიწიეს. დარბაზი ქუხდა, მე კი ცეცხლი მეკიდა და ისეთ დღეში ვიყავი, თვით მედვედი რომ გამოეყვანათ, უკან არ დავიხევდი.

იმ დღეს ყველა მეტოქე დავამარცხე. ბოლოს მწვრთნელს თავისი მუქარა დაავიწყდა და მის ორმოცდარვაკილოიან ხელებში სული კინაღამ დავლიე, მერე მიმლოცა-მომლოცველების ფეხებში გავძვერი, გასახდელს მივაშურე და ხარივით დავეწაფე იმ წყაროში ჩემთვის ყველაზე დიდ ჯილდოს — წყალს.

ბ. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲕᲤᲣᲠᲪᲚᲐᲕᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲡ

ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲔᲛᲗᲮᲕᲐ

ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე პროფ. ელომ (რომლის კოეფიციენტების სისტემა ოფიციალურადაა მიღებული ფიდე-ს მიერ) გამოაქვეყნა ელექტრონული მანქანის პროგნოზი მოსალოდნელი შედეგის შესახებ. ელოს „ელექტრონული ტვინის“ პროგნოზი ასეთი იყო: ფიშერი მოიგებდა მატჩს ანგარიშით 12,5:8,5. ბევრმა მიმომხილველმა მაშინ არ დაუჯერა მანქანას. გაზეთები წერდნენ: მართალია, ფიშერს თვით აქვს „ელექტროსული მანქანის ლოგიკა და უსაზღვრო საჭადრაკო ფანტაზია“, მაგრამ სპასკიმ იცის, როგორც უნდა იბრძოლოს მასთანო.

ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ მანქანის პროგნოზი საკმაოდ ზუსტი აღმოჩნდა. ხაკმაოდო, იმიტომ ვამბობთ, რომ ერთი ქულა სპასკიმ მეტოქის გამოუცხადებლობის გამო მიიღო მეორე პარტიაში.

ასეა თუ ისე, ელოს მანქანის პროგნოზი განცვიფრებას იწვევს.

ᲤᲘᲓᲔ-Მ ᲒᲐᲐᲗᲐᲛᲐᲛᲐ

ბევრი მიმომხილველი წერდა, რომ ფიდე-მ ხელი შეუწყო ფიშერის გათამამებას, რამდენადაც ყველა მისი მოთხოვნა დაუყოვნებლივ სრულდებოდა.

„აქ საქმე მხოლოდ ფიშერის მანერების არასრულყოფილება და მისი ხასიათის თავისებურებები როდია, — წერდა დასავლეთგერმანული გაზეთი „ცაიტი“. — ეჭვი არ უნდა გვეპარებოდეს, რომ ეს საჭადრაკო დიდოსტატი, რომელსაც კინოვარსკვლავის ჩვევები აქვს, ორგზის მოიფიქრებდა, ხანამ მორიგ სკანდალს მოაწყობდა, ფიდე-ს წაყრუება და ფიშერისადმი პრეზიდენტ მ. ეივეს უსაზღვრო სიყვარული რომ არა. როდესაც ტაიმანოვთან მატჩის დროს ფიშერმა წამოაყენა სახაცილო დებულება ჩაკეტილ ოთახში თამაშის შესახებ, ეივე მყისვე თვით გაემგზავრა კანადაში (რაც ფიდე-ს 7000 დოლარი დაუჯდა), რათა კაისას გათამამებული საყვარელი პიროვნება დაემშვიდებინა და მისი მრისხანება მოწყალებით შეეცვალა“.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘᲐ?

„ძალიან მომეწონა მატჩი. ბრძოლა საინტერესო იყო და სიამოვნებით გეთამაშებოდით გაისად“, — ასეთი სიტყვებით მიმართა ფიშერმა სპასკის მატჩის დახურვისადმი მიძღვნილი ცერემონიალის დროს. „ეს ხომ არ ნიშნავს, რომ მატჩრევანშს მთავაზობთ?“ — ჰკითხა სპასკიმ. „დიახ, დიახ“, — დაუდასტურა ფიშერმა. მოგვიანებით ფიშერმა იგივე გაიმეორა იუგოსლავიელ დიდოსტატ ხ. გლიგორიჩთან საუბრისას.

რამდენიმე პიროვნება მყისვე გამოეხმაურა ამ წინადადებას. ერთერთმა მათგანმა ფიშერი მეტისმეტად დაინტერესა. ქ. ლას-ვეგასის მცხოვრები რომელიღაც მილიარდერი თანახმაა დააწესოს სამატჩო ფონდი 1 მილიონი დოლარის ოდენობით და, გარდა ამისა, გადაუხადოს ფიშერს დიდი თანხა მატჩში მონაწილეობისთვის.

როდესაც ფიშერის მრჩეველ კრამერს ამის თაობაზე შეკითხვით მიმართეს, მან იგი არც უარყო და არც დაადასტურა.

ფიდე-ს კონგრესს სპასკი—ფიშერის მატჩ-რევანშის საკითხი არ განუხილავს, რადგან ოფიციალური წინადადება არავისგან მიუღია. ასე რომ, საკითხი დღეისთვის ბუნდოვანია.

ᲙᲠᲐᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐᲕᲡ

კრამერმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ მატჩის შემდეგ ბობმ მიიღო „მუდმივი მიწვევა“ თეთრი სახლიდან. „პრეზიდენტმა ნიქსონმა თქვა, რომ ბობის შეუძლია უბრალოდ მივიდეს მასთან, როცა კი მოისურვებს“.

სხვათა შორის, ცნობა ფიშერის თეთრ სახლში მიწვევის შესახებ პირველად გახურებული მატჩის დროს გამოაქვეყნა ჟურნალმა „ლაიფმა“. როდესაც თეთრი სახლის პრეს-მდივან ზიგლერს ჰკითხეს, რამდენად სწორია ეს ცნობაო, მან არც პო თქვა და არც არა. მატჩის შემდეგ კი ზიგლერმა უფრო ნათელი განცხადება გააკეთა.

კრამერმა ისიც თქვა, რომ მილოცვა და მიწვევა ფიშერმა სახელმწიფო დეპარტამენტისგანაც მიიღო. ეს ფიშერს აცნობა აშშ-ს ელჩმა ისლანდიაში ჩარლზ ბრეიმ. ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტებმა გაიხსენეს, რომ, როდესაც ფიშერი მატჩის გახსნისადმი მიძღვნილ ცერემონიალზე არ გამოცხადდა, ელჩმა სურვილი გამოთქვა „საკუთარი ხელით მიეხრჩო ეს სალახანა“.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ

მატჩის დამთავრების შემდეგ ფიშერი საკმაოდ ხანგრძლივი დროით დარჩა ისლანდიაში. როგორც თვითონ განაცხადა, დასვენების მიზნით. იგი თავისთვის არცთუ ჩვეულ ცხოვრებას ეწეოდა: რამდენიმეჯერ გამოჩნდა რეიკიავიკის ღამის კლუბებში, თუმცა, თავისი რელიგიური სეჭტის მკაცრი წესების დაცვით, არაფერს სვამდა, ფორთოხლის წვენის გარდა. მისი მუდმივი თანამგზავრი იყო ისლანდიელი პოლიციელი სემუნდ პოლსონი. მატჩის დროს პოლიციელის მოვალეობას შეადგენდა ფიშერის დაცვა ჟურნალისტებისგან. ეს ამოცანა პოლსონმა ისე კარგად შეასრულა, რომ ფიშერისთვის ახლობელი ადამიანი გახდა. ფიშერის მეორე მეგობარი, არგენტინელი ოსტატი კვინტეროსი რეიკიავიკში მატჩის დასკვნითი ტურების დროს ჩავიდა. ამან ისე გააბარა ამერიკელი დიდოსტატი, რომ მან დაუყოვნებლივ დაუთმო არგენტინელს თავისი ჩინებული ვილა, თვითონ კი სასტუმრო „ლაფტლეიდერს“ დაუბრუნდა.

ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲚᲐ

იმ დღესაც კი, როდესაც დაფნის გვირგვინით შეამკეს და ოქროს მედალი გადასცეს („ეს რა პატარა დაფნის გვირგვინია“, — გაკვირვებით წარმოთქვა ფიშერმა), ამერიკელ დიდოსტატს ოდნავაც არ შეუცვლია ჩვეულებრივი დღის რეჟიმი. ფიშერს ეწვივნენ დიდოსტატები და ჟურნალისტები, რომლებიც მატჩის დროს მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ მასთან. სტუმრები იმიტომ მივიდნენ, რომ ფიშერისთვის მსოფლიო ჩემპიონობა მიელოცათ, მაგრამ შემდეგი სურათი ნახეს: იგი საჭადრაკო დაფასთან იჯდა და უკანასკნელ გადადებულ პარტიას არჩევდა. „მას (სპასკის) რომ კd7-ის ნაცვლად მფh8 ჩაეწერა, ჩემთვის მეტად ძნელი იქნებოდა ამ ენდშპილის მოგება“. ამის შემდეგ ფიშერმა ტელევიზორი ჩართო და დაიწყო საინტერესო პროგრამის ძებნა.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ

ჟურნალისტებთან საუბარში ფიშერმა განაცხადა, რომ თავს დაღლილად არ გრძნობს და აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო ოლიმპიადაში (რაც შემდეგ, როგორც ცნობილია, არ შეასრულა). სპასკიმ კი, პირიქით, განაცხადა, დზსვენება მჭირდებაო. ჟურნალისტებთან საუბარში სპასკი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ, მისი რწმენით, მატჩის განმავლობაში დარბაზიდან მასზე ტელეპატიურ ზეგავლენას ახდენდნენ, რამაც უარყოფითად იმოქმედა მის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე, ამასთან, რა თქმა უნდა, თამაშზეც. სპასკიმ ისიც განაცხადა, რომ საფუძველი არა აქვს ამაში ფიშერი დაადანაშაულოს, რომ „შესაძლოა ყოველივე ეს ბობის გარეშე ხდებოდა“. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში სპასკიმ თქვა: „დროდადრო მეჩვენებოდა, რომ რაღაც უჩინარი მოქმედებდა ჩემზე. სამ პარტიაში, განსაკუთრებით, მეთვრამეტეში, ისეთ სისუსტეს ვგრძნობდი, რომ მთლიანად ვკარგავდი კონცენტრაციის უნარს. ერთი ორჯერ ისიც ვიფიქრე, ხაცაა გრძნობას დავკარგავ-მეთქი“.

ბელგრადის „ბორბას“ კორესპონდენტ ბ. კაუჩთან საუბარში სპასკიმ განაცხადა: „ფიშერი უძლეველი როდია... როგორც ჩვენი მატჩის პარტიებიც ცხადყოფენ, მას, ისევე, როგორც ყველა სხვა დიდოსტატს, აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები“.

— გწამდათ თუ არა მატჩის წინ, რომ „გაიმარჯვებდით? — ჰკითხა კაუჩმა.

— მატჩის წინ აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვიგებდი, — უპასუხა ექს-ჩემპიონმა.

— როდესაც ფიშერი დროზე არ ჩამოვიდა რეიკიავიკში, თქვენ მგონი ერთ-ერთი საუბრის დროს თქვით, რომ მას ეშინოდა ამ მატჩისა?

— მე ახლაც ამ აზრისა ვარ. მას ეშინოდა ამ მატჩისა, ისევე როგორც ბელგრადში „საუკუნის მატჩის“ დროს ეშინოდა ჩემს წინააღმდეგ თამაშისა.

შემდეგ სპასკიმ განაცხადა: „ვიმედოვნებ, რომ ფიშერს მატჩ-რევანშში შევხვდები. დარწმუნებული ვარ, გავიმარჯვებ“. მან აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე დაკარგა „თავისი თამაში“. შემოქმედებითი თვალსაზრისით რამდენადმე შეცვალა სტილი, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ეს არასწორი გადაწყვეტილება იყო. ექს-ჩემპიონმა თქვა, რომ მასზე უარყოფითად იმოქმედა პრაქტიკულ თამაშში ხანგრძლივმა შესვენებამ.

სპასკიმ ისიც განაცხადა, რომ უკანასკნელ პარტიამდე იმედი ჰქონდა მატჩის ხსნისა. ამავე დროს, მან რწმენა გამოთქვა, რომ ფიშერთან ეს მატჩი დიდად შეუწყობს ხელს ჭადრაკის განვითარებას, ამ თამაშის პოპულარობის ზრდას მთელს მსოფლიოში.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 224, 226, 229, 231, 233, 235.

ᲮᲔᲚᲒᲣᲠᲗᲔᲚ ᲕᲐᲟᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ VII ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲖᲐᲠᲘᲐ ᲕᲝᲡᲢᲝᲙᲐᲡ“ ᲞᲠᲘᲖᲖᲔ

ᲑᲝᲚᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

თბილისი. სპორტის სასახლე. 1 დეკემბერი.

ᲒᲓᲠ (ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ) — ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ (ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ) 16:11 (9:6).

მსაჯები — თ. ჩხარტიშვილი და ი. სმოლენგო (ორივე — სსრ კავშირი).

პირველი ტაიმი გერმანელთა მცირე უპირატესობით წარიმართა. მათი იერიშები უფრო შედეგიანი აღმოჩნდა და, ბუნებრივია, დაწინაურდნენ კიდეც.

მეორე ტაიმის დასაწყისში ჩეხოსლოვაკიელებმა შეძლეს ანგარიშში სხვაობის მინიმუმამდე დაყვანა (8:9), მაგრამ შემდეგ გერმანელთა იერიშები უფრო გამწვავდა და ნაყოფმაც არ დააყოვნა. გიმარჯვა გდრ-ის ნაკრებმა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ (ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ)—ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ (ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ) 15:20 (10:12).

მსაჯები — პ. ოვდალი და ჭ. სვენსონი (ორივე — დანია).

მატჩის პირველი ნახევარი თანაბარი იყო. მხოლოდ ტაიმის მიწურულს შეძლეს რუმინელებმა დაწინაურება ორი გოლის სხვაობით.

შესვენების შემდეგ ქართველმა ხელბურთელებმა სხვაობა ძალიან შეამცირეს (14:15), მაგრამ დასკვნითს ნაწილში ექვსი ბურთი მიიღეს, რაზეც მხოლოდ ერთი გოლით უპასუხეს.

ამ მრიგი წაგებით ქართველმა ხელბურთელებმა შეჯიბრების დამთავრებამდე 1 ტურით ადრე „მოიპოვეს“ V, ანუ ბოლო ადგილი ტურნირში. ბოლო ტურის წინ რუმინეთის, გდრ-ის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხელბურთელებს 4-4 ქულა აქვთ. თითო მატჩი დარჩათ ჩასატარებელი საბჭოთა კავშირის, საქართველოს, გდრ-ისა და რუმინეთის გუნდებს. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა ტურნირი უკვე დამთავრეს.

Გ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ.

• • •



ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების თამაშის მომენტი.

ᲤᲝᲢᲝ Გ. ᲜᲐᲠᲒᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡᲗᲐᲜ.

„ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ

ოჩამჩირის მიდამოებში მოეწყო ველოსიპედისტთა საუწყებო რესპუბლიკური შეჯიბრება.

კარგად გამოვიდა „განთიადის“ ნაკრები (მწვრთნელი ვ. ძებნიაური), რომელმაც გამარჯვებაც მოიპოვა. დინამოელები II ადგილზე გავიდნენ, „ბურევესტნიკს“ III საპრიზო ადგილი ხვდა წილად.

ინდივიდუალური რბოლა 30 კილომეტრზე ბურევესტნიკელმა სპორტის ოსტატმა ა. ხომუტოვმა მოიგო.

150 კილომეტრზე ჭგუფურ რბოლაში ტოლი არ ჰყავდა სპარტაკელ სპორტის ოსტატ ი. რთველაშვილს.

Გ. ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
(ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠ.).

ოჩამჩირე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბარი ფეხბურთის ჯეჯილთა

სტადიონი 110 წლისაა

ინგლისში ერთ-ერთი უძველესი გახლავთ ქალაქ ნოტინგემის სტადიონი. იგი არსებობის 110 წელს ითვლის და, ცხადია, ფრიად მოძველებულია. და ეს მაშინ, როცა ამ სტადიონზე გამოდის ორი პროფესიული გუნდი — „ნოტინგემ ფორესტი“ და „ნოტინგემ ქაუნთი“.

ამ კლუბებს მითითება მიეცათ ზრუნონ ახალი სტადიონის აგებისთვის.

გააძლიერეს... ჩოგბურთელით

„ვანჩესტერ სიტიმ“ ამას წინათ ერთი საინტერესო კონტრაქტი დადო: ოსტატთა გუნდში ჩაიიცხა 17 წლის ბ. კოლი, რომელიც დიდ იმედებს იძლევა. საინტერესოა, რომ კოლი ინგლისში კარგად ცნობილი ჩოგბურთელია. ამ ბაფხულს იგი მონაწილეობდა უიმბლდონის პოპულარულ ტურნირში ჭაბუკთა შორის.

ისევ ბობი ჩარლტონი?

როგორც ცნობილია, ინგლისის მრავალგზის ჩემპიონს „მანჩესტერ იუნაიტედს“ მიმდინარე ჩემპიონატში მეტისმეტად უჭირს. იგი ზედიზედ აგებს მატჩებს და პუტსაიდერთა შორისაა.

გუნდის ხელმძღვანელობამ უკიდურეს ზომას მიმართა და ისევ მოუხმო ბობი ჩარლტონს, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ ოფიციალურად გამოეთხოვა ფეხბურთს.

გამოჩენილი ოსტატის დახმარება გუნდს ჯერჯერობით მაინცდამაინც ვერ შეელის. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ბ. ჩარლტონის დაბრუნების შემდეგ დამარცხდა „ნიუკასლ იუნაიტედთან“ (1:2), თუმცა ეტერნასაც ნუ დავუკარგავთ დამსახურებას. სწორედ მან გაიტანა ერთადერთი საპასუხო გოლი „ნიუკასლის“ კარში.

პროფესიონალიზმი დაკანონდა

1973-74 წლების სეზონიდან იუგოსლავიაში ოფიციალურად დაკანონდა პროფესიონალიზმი. აქ სამი პროფესიული ლიგა იქნება. ასე გადაწყვიტა იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის უკანასკნელმა ყრილობამ. I ლიგაში ჩაირიცხება 18 კლუბი, მეორეში — 20. III ლიგა დაიყოფა ოთხ ქვეჯგუფად და თითოეულში 18 გუნდი იქნება.

ვადამდე გაათავისუფლეს

ვადამდე გაათავისუფლეს თანამდებობიდან იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი სტაკკი. ახალ პრეზიდენტს ფედერაციის სპეციალური კონგრესი აირჩევს, მანამდე კი მის მოვალეობას შეასრულებს წარსულში პოპულარული ფეხბურთელი, ფედერაციის თანამშრომელი ბონიპერტი.

კოლუმბიელთა წინადადება

კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციამ ფიფა-ს ოფიციალური წინადადებით მიმართა, რათა ამ ქვეყანას 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობა დაეკისროს.

საბჭოთა ფეხბურთის ჯეჯილი

სათხილამურო მერიდიანებზე

400 წინადადება

ინსბრუკში ქალაქ ტრენტოში ქ. შპის (ავსტრია) თავმჯდომარეობით გაიმართა სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის წინადადებათა განხილვის კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა მსოფლიოში სათხილამურო სპორტის განვითარების, ტურნირების უკეთესად მოწყობის, სპორტსმენთა წახალისებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებული 400 წინადადება. კომისიამ ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მხოლოდ 72 წინადადება მოიწონა, ამ წინადადებათა საფუძველზე საერთაშორისო წესებში სათანადო ცვლილებები შეიტანა და იგი დასამტკიცებლად საერთაშორისო ფედერაციას წარუდგინა.

ღია ტურნირები

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელმა ბ. ბოდლერმა ამას წინათ სტოკჰოლმში განაცხადა, რომ ფედერაცია სწავლობდა წინადადებას — 1972-73 წლის ზამთრის სეზონში სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის წევრ ქვეყნებს მისცემოდათ ღია საერთაშორისო ტურნირების გამართვის ნება პროფესიონალთა მონაწილეობით.

ვარაუდობდნენ, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდებოდა, ვინაიდან ღია შეჯიბრებებში პროფესიონალთა მონაწილეობა ტურნირებისადმი სპორტის მოყვარულთა ინტერესს გაზრდიდა, მაგრამ საკითხი ჯერჯერობით ღიად დარჩა, ვინაიდან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლორდმა კილანინმა ფედერაციის ამ წამოწყების წინააღმდეგ გაილაშქრა: „პროფესიონალიზმს სამყოვარუ ლ ო სპორტთან საერთო რომ არაფერი აქვს, ეს საპოროს „თეთრ ოლიმპიადაშიც“ დადასტურდა და მიუნქენის ოლიმპიადაშიც. პროფესიონალებისთვის ეროვნული ფედერაციების მიერ მოწყობილ საერთაშორისო ტურნირებში კარის გადება ოლიმპიურ იდეას ეწინააღმდეგება. ამასთან, გამორიცხული არც ისაა პროფესიონალებმა თუნდაც ღია ტურნირებშიც არ მიმართონ გამარჯვების მათთვის ნაცად ხერხს. — მასტიმულირებელ საშუალებათა გამოყენებას, რაც მოყვარულებს, შესაძლოა, შეუმჩნეველი არ დარჩეთ. ცუდი მაგალითი რომ გადამდებია, ეს არავისთვის აიდუმლოებას არ უნდა წარხოადგენდეს“, — განაცხადა კილანინმა.

მედლები როგორც იყო განაწილდა

სამთოთმოთხილამურეთა შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატი კარგა ხანია დამთავრდა, ვაკთა შორის მედლები კი გაუნაწილებელი დარჩა, ვინაიდან მსოფლიო პირველობის არბიტრაჟი ყველა ეტაპის შეჯიბრებათა შედეგების შეჯამებას საკმაოდ დიდხანს მოუნდა. როგორც ცნობილია, მსოფლიო პირველობის გათამაშების ჩათვლაში საპოროს „თეთრი ოლიმპიადის“ მაჩვენებლებიც შედიოდა. და აი, არბიტრაჟმა სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ზეგავლენით მსოფლიო პირველობის შედეგების გამოთვლა როგორც იყო დაამთავრა. მედლები განაწილდა. აი, მათი მფლობელები. სწრაფდაშვებაში: რიუსი, კოლომბენი (ორივე — შვეიცარია), მეხნერი (ავსტრია); გიგანტური სლალომი: გ. ტონი (იტალია), ბრუგმანი, მიოტლე (ორივე — შვეიცარია); სპეციალური სლალომი: ოროა (ესპანეთი), გ. ტონი, ჩ. ტონი (იტალია); სამთო სამჭიდი: გ. ტონი, ტრეში (შვეიცარია), ჰენტერი (კანადა).

ნაკრების ახალი შემადგენლობა

ბოლონიის სათხილამურო სპორტის ფედერაციის ბოლო სხდომაზე დადგინდა ქვეყნის „მფრინავ ნოთხილამურეთა“ ნაკრები, რომლის კაპიტნობა დიდ ტრამპლინზე სტომაში საპოროს ოლიმპიადის ჩემპიონს ვ. ფორტუნას მიანდეს. ნაკრების „უხუცესი“ წევრია 25 წლის თ. პაგლუსიაკი, ყველაზე ახალგაზრდა — 16 წლის ს. ბობაკი.

ნაკრებში შევიდნენ, აგრეთვე, 17 წლის ი. ვაცლავი, ბ. სტოლოვსკი და ტ. ტაილერი. სათადარიგო წევრები არიან 21 წლის ს. დანელ-გონსენიცი, 19 წლის ჩ. იანეკი და ი. ვალუში, 20 წლის ი. კულიკი.

ნაკრების მწვრთნელობა ი. ფორტუჩიკს დაევალა.

10 ათასი მილი— ლონდონიდან ბრისბენამდე... ძველმოდური ველოსიპედით

ავსტრალიელმა დენის უოკერმა უჩვეულო მოგზაურობით მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო — მან თავისი ძველმოდური ველოსიპედით 10 ათასი მილი განვლო ლონდონიდან ბრისბენამდე (ავსტრალია).

ამ საინტერესო მოგზაურობისას 20 წლის ველოსიპედისტმა უოკერმა მხოლოდ ორჯერ მიაღწია ველოსიპედი—ჯერ გემით გადაცურა ლა-მანში, მერე კი თვითმფრინავით იფრინა სინგაპურიდან დარვინამდე.

ეს სურათი გადაღებულია კვინსლენდის შტატის ჩრდილოდასავლეთში მდებარე ქალაქ კლონკარიში მოგზაურობის მიწურულს.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

ოგიევსკიეთა მსოფლიო

- ეკვსთა ტურნირი
- 1916 კმ 28 დღეში
- თასისთვის ბრძოლაში

● ერფურტი, 1 დეკემბერი. გდრ-ის ამ ქალაქში დაწყებულ საერთაშორისო ტურნირში ცსკა-ს ფრუნბეურთელ ვაკთა გუნდმა წარმატებით აიღო სტარტი: სძლია სკ „ლაიპციგსა“ (3:2) და „რუდა გვეზდას“ (პრაღა) — 3:0. ორი გამარჯვება იზეიმეს ბულგარელმა არმიელებმაც — მათ ჯერ იაპონიის ჩემპიონი „მაცუსიტა“ დაამარცხეს (3:1), მერე კი „რუდა გვეზდა“ — 3:2. შეჯიბრებაში მონაწილეობს აგრეთვე ბუქარესტის „დინამო“, რომელმაც ორივე შეხვედრა წააგო: სკ „ლაიპციგთან“ — 0:3, „მაცუსიტასთან“ — 2:3.

● ლენინგრადი, 1 დეკემბერი. ნამქერი და ზამთრის ცივი ქარი ელის 22 წლის ლენინგრადელ სარაჯს ნ. ზელოვს, რომელმაც დღეს ზემარათონული გარბენის სტარტი აიღო. სპორტსმენი 1916 კილომეტრის დაფარვას 28 დღეში აპირებს. მისი მარშრუტი გაივლის ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, ბელორუსიისა და რუსეთის ფედერაციის ქალაქებს, მოსკოვში კი დამთავრდება. ზელოვს მსუბუქი მანქანით მიჰყვება მისი ამხანაგი. წარსულში ნიჭიერმა მოერივემ ზელოვმა 10 წლის წინ ფილტვების მძიმე დაავადება გადალახა და ,ექიმების რჩევით რბენა დაიწყო. მას უკან დარჩა ორი გარბენი მოსკოვ — ლენინგრადის მარშრუტით, აგრეთვე, ბევრ მარათონულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა.

● ბუდაპეშტი, 1 დეკემბერი. აქ დაიწყო წყალბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალისტთა ოთხეულის დასკვნითი ეტაპი. პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „ბუდაპეშტი“ და ბუქარესტის „დინამო“. დაძაბული თამაში მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 6:4 (1:1, 1:1, 1:1, 2:1). სამი გოლი გაიტანა უნგრელმა სივრშმა. ასევე მწვავე ბრძოლით აღინიშნა მეორე მატჩი: „პარტიზანი“ (ბელგრადი) — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი). შეხვედრის შედეგია 8:8 (1:0, 1:2, 0:0, 1:1). გოლები გაიტანეს: მოსკოველთაგან — შიდლოვსკიმ (2) და ა. აკიმოვმა, იუგოსლავიელთაგან — იანკოვიჩმა (2) და რუდიჩმა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ „პარტიზანი“ ამ საპატიო პრიზს 1963, 1965, 1968 და 1970 წლებში ფლობდა. შეჯიბრება წრიული სისტემით ტარდება.

აი, რა ხდებოდა ბარსელონაში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩის (მოსკოვის „დინამო“ — „გლაზგო რეინჯერსი“) შემდეგ, როცა შოტლანდიელი ვაიგულშემატკივრები საფეხბურთო მინდორზე გადაცვივდნენ და ბრძოლა გაუჩაღეს ესპანელ პოლიციელებს. ამ ხელჩართულ ომში უამრავი ხალხი დაშავდა. აი, ერთ-ერთი მათგანიც: მას პოლიციელთან შეტაკების დროს თავი გაუტეხეს და ახლა ესპანელ ექიმებს საავადმყოფოში მიჰყავთ.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.



კლასობრივი ბრძოლა, რასობრივი შეღლა...

ფრეზიერთან შეხვედრამდე რამდენიმე დღის წინ ალიმ განაცხადა: „1971 წლის 8 მარტს კრივის ისტორიის ბოლო თავს დავწერ“. ის ლაპარაკობდა არა უბრალოდ „მოჭავალ ორშაბათზე“, არამედ აღნიშნავდა შუსტ თარიღს, თვეს, წელს, თითქოს რეპორტიორებს კი არ უყრიდა საკენკს, არამედ ისტორიკოსთა კონგრესს იწვევდა. ისევე კარგად რომ ებრძოლა, როგორც ლაპარაკობდა, 1971 წლის 8 მარტი მართლაც იქცეოდა დირსშესანიშნავ დღედ. ამერიკაში შეშობდნენ. მუქამედ ალის გამარჯვებას შეიძლება უსიამოვნება მოჰყვესო. მართალია, მისი მეტოქეც ზანგი იყო, მაგრამ ალი, ოდესვ კასიუს მარცელუს კლეი, ზანგებს მუთაურის სახელზეც აცხადებდა პრეტენზიას.

მოკრივეთა მატჩს ამერიკაში ნოლოდ სპორტული მნიშვნელობა არა აქვს ხოლმე. 1910 წელს, როცა ჯეკ ჯონსონი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა კრივში, ამერიკის სამხრეთში დაიწყო ზანგების პირველი დიდი მღელვარება, რომელიც აჯანყებას უდრიდა.

ამჯერად შეჯახება რინგს არ გასცილებია, ქუჩებში ხელჩართული ბრძოლა არ გამართულა. მუქამედ ალი ცნობილია არა მარტო თავისი მუშტით, არამედ კვიმატი ენითაც და ძალიან ბევრს ლაპარაკობს საკუთარ პერსონაზე. ამიტომ იყო, რომ გაზეთებმა არა მხოლოდ ალის სხეულის ყველა ნაკვთის ზომა აუწყეს მკითხველებს, არამედ ისიც აღნიშნეს, რომ მას 27,1 სანტიმეტრზე შეუძლია პირის დაღება (იზომება ტუჩებს შორის მანძილი) და ამ საქმეში 4 სანტიმეტრით სჯობს ფრეზიერს.

მუქამედ ალიმ მაშინ ვერ დაწერა კრივის ისტორიის ბოლო თავი. ჯო ფრეზიერმა შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული (მან ქულებით მოიპოვა გამარჯვება). მართალია, ალის ტრიუმფატორის როლი არ ხვდა წილად, მაგრამ არც წამებულად ჩაცულა. საბოლოო გამარჯვების ინდი ღას არ დაუკარგავს. ვნახოთ, რას მოუტანს ალის მეორე შეხვედრა მატჩ-რევანშში ჯო ფრეზიერთან.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.